IFLA Section
Environment, Sustainability and Libraries

2022 წლის იანვარი

რა არის მწვანე ბიბლიოთეკა?

გარემო ეწოდება იმ გარემოცვას ან პირობებს, რომელშიც ადამიანები, დაწესებულებები, ცხოველები და მცენარეები არსებობენ და მუშაობენ. ეს გარემოცვა შეიძლება იყოს ბუნებრივი, სოციალური და კულტურული.

მდგრადი განვითარება არის განვითარება, რომელიც „ ისე აკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნილებებს, რომ არ აზიანებს მომავალი თაობის უნარს, დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებები“ (Our Common Future, Brundtland Report, UN).

დღევანდელი გარემო საფრთხეშია კლიმატური ცვლილებების და სხვა საშიშროებების, მათ შორის, სოციალური უთანასწორობის გამო. ყველა დაწესებულების მიზანი უნდა იყოს, დაიცვას გარემო მდგრადი განვითარების მეშვეობით. მათ შორისაა, ყველა სახის ბიბლიოთეკა, რომლებსაც აქტიური და მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ მდგრადი განვითარების საქმეში.

მწვანე და მდგრადი ბიბლიოთეკა არის ბიბლიოთეკა, რომელიც ითვალისწინებს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგრადობას. მწვანე და მდგრადი ბიბლიოთეკა შეიძლება ნებისმიერი ზომის იყოს, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს მდგრადობის ნათლად ჩამოყალიბებული გეგმა, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს:

- **შენობისა და ინტერიერის ეკომეგობრული მდგრადობა:** მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, შესაბამისად, შენობისა და ინტერიერის CO_2-ანაბეჭდი მნიშვნელოვნად მცირდება.
- **მწვანე ოფისის პრინციპები:** ექსპლუატაციის მიმდინარეობა და პროცესი გარემოსთვის უსაფრთხოა.
- **მდგრადი ეკონომიურობა:** ყველა თვალსაზრისით ყურადღება ექცევა კონტროლირებულ მოხმარებას; ცირკულარული ეკონომიკა და Sharing Economy ვითარდება და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ხდება.
- **ბიბლიოთეკის სერვისების მდგრადობა:** მნიშვნელოვანი და აქტუალური ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია; ბიბლიოთეკა თავის მომხმარებელს სთავაზობს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული განათლებას, ასევე საერთო მოხმარების სივრცეებსა და აპარატურას; ბიბლიოთეკა მუშაობს ეფექტურად. მას აქვს პოზიტიური CO_2- ანაბეჭდი.
- **სოციალური მდგრადობა:** კარგი განათლება, კითხვისა და წერის უნარი, საზოგადოებრივი ჩართულობა, ინტერკულტურული მრავალფეროვნება, სოციალური ინკლუზია და მონაწილეობა წარმოადგენს სახელმძღვანელო პრინციპს. ბიბლიოთეკა აქტიურადაა ჩართული უთანასწორობის აღმოფხვრაში.

- **გარემოს მენეჯმენტი**: გარემოს დაცვის მიზნები არის SMART (სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და თანამედროვეობასთან კავშირში). ბიბლიოთეკა ცდილობს გარემოზე თავისი ნეგატიური ზეგავლენის შემცირებას. ბიბლიოთეკის გარემოსდაცვითი პოლიტიკა, ამ პოლიტიკის გატარება და გარემოსდაცვითი სამუშაოს შედეგები ფართო საზოგადოებისთვისაა ცნობილი.
- **ზოგად გარემოსდაცვით მიზნებსა და პროგრამებში ჩართულობა:** ჩართულობა ეფუძნება აგენდა 2030-ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადობის მიზნებს, ასევე პარიზის შეთანხმებას კლიმატის შესახებ და შესაბამის სერტიფიკატებსა და პროგრამებს.

ინგლისურიდან თარგმნა პეტრა ჰაუკემ.